

**სსბასს 34—ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება**

**გამომცემლისაგან**

წინამდებარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს) ძირითადად ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 27-ს, *ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (სსბასსს) ამ გამოცემაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ფონდის ნებართვით, გამოყენებულია ამონარიდები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 27-დან.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს ბასსს-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი, რომლის ასლები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უშუალოდ ფასს-ის საგამომცემლო დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: First Floor, 30 Cannon Street, London EC4M 6XH, United Kingdom.

E-mail: [publications@ifrs.org](mailto:publications@ifrs.org)

Internet: [www.ifrs.org](http://www.ifrs.org)

ფასს-ები, ბასს-ები, განსახილველი პროექტები და ბასსს-ის სხვა გამოცემები დაცულია ფასს-ის ფონდის საავტორო უფლებით.

“IFRS,” “IAS,” “IASB,” “IFRS Foundation,” “International Accounting Standards,” და “International Financial Reporting Standards” ფასს-ების ფონდის სავაჭრო ნიშნებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული, ფასს-ების ფონდის თანხმობის გარეშე.

## სსბასს 34—ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

### სსბასს-ის ისტორია

*წინამდებარე ვერსია მოიცავს 2018 წლის 31 იანვრამდე გამოცემული სსბასს-ებით გამოწვეულ ცვლილებებს.*

სსბასს 34, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოცემულია 2015 წლის იანვარში.

მას შემდეგ, სსბასს-ში ცვლილებები შევიდა შემდეგი სსბასს-ების შესაბამისად:

- სსბასს-ების გამოყენება (2016 წლის აპრილის გამოცემა)

### სსბასს 34-ში შეცვლილი პუნქტების ცხრილი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
4	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
5	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
32ა	დამატებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი

სსბასს 34 — ინდივიდუალური  
ანგარიშგება

შინაარსი

---

	პუნქტი
მიზანი .....	1
მოქმედების სფერო .....	2–5
განმარტებები .....	6–10
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება .....	11–18
განმარტებითი შენიშვნები .....	19–23
გარდამავალი დებულებები .....	24–31
ძალაში შესვლის თარიღი .....	32–33
სსბასს 6 (დეკემბერი 2006) -ის გაუქმება ან ჩანაცვლება .....	34
დასკვნის საფუძველი	
ბასს 27-თან შედარება (შესწორებულია 2011-ში)	

---

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 34, *ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება* ჩამოყალიბებულია 1-34 პუნქტებში . ყველა პუნქტს თანაბარი ძალა აქვს. სსბასს 34 გააზრებული უნდა იქნას მისი მიზნის, დასკვნის საფუძვლის, *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის წინასიტყვაობისა და საჯარო სექტორის ერთეულებისთვის ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების კონტექსტში*. სსბასს 3- „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“- იძლევა სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების საფუძვლებს ზუსტი მითითებების არარსებობის შემთხვევაში.

## მიზანი

1. ამ სტანდარტის მიზანია დაადგინოს აღრიცხვის და გამჟღავნების მოთხოვნები კონტროლირებულ ერთეულებში, ერთობლივ საქმიანობებსა და მეკავშირე ერთეულებში ინვესტიციებისთვის, როდესაც ერთეული ამზადებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

## მოქმედების სფერო

2. ერთეული, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს და წარადგენს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ვალდებულია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი კონტროლირებულ ერთეულებში, ერთობლივ საქმიანობებსა და მეკავშირე ერთეულებში ინვესტიციების აღრიცხვისათვის, როდესაც ის გადაწყვეტს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, ან ამის გაკეთება მოეთხოვება კანონმდებლობით.
3. სტანდარტი არ ადგენს თუ რომელმა ერთეულებმა უნდა წარადგინოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება მაშინ, როდესაც ერთეული ამზადებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) შესაბამისად.
3. [ამოღებულია]
4. [ამოღებულია]

## განმარტებები

6. წინამდებარე სტანდარტში მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ეკონომიკური ერთეულის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მაკონტროლებელი ერთეულის და მისი კონტროლირებული ერთეულების აქტივები, ვალდებულებები, წმინდა აქტივები/კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი სახსრების ნაკადები წარმოდგენილია როგორც ერთი ეკონომიკური ერთეულის აქტივები, ვალდებულებები, წმინდა აქტივები/კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი სახსრების ნაკადები.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის ერთეულის მიერ წარდგენილი ანგარიშგება, რომელშიც ერთეულს, საკუთარი შეხედულებისამებრ, წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, კონტროლირებულ ერთეულებში, ერთობლივ საქმიანობებსა და მეკავშირე ერთეულებში განხორციელებული

ინვესტიციების აღრიცხვა შეუძლია თვითღირებულებით, სსბასს 29-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ - შესაბამისად, ან კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, როგორც ეს აღწერილია სსბასს 36-ში - „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“.

სხვა სსბასს-ებში განსაზღვრული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში. შემდეგი ტერმინები განმარტებულია სსბასს 35-ში, „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, სსბასს 36-ში, „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ და სსბასს 37-ში, „ერთობლივი შეთანხმებები“. მეკავშირე ერთეული, კონტროლი, კონტროლირებული ერთეული, მაკონტროლებელი ერთეული, ეკონომიკური ერთეული, კაპიტალ-მეთოდი, საინვესტიციო ერთეული, ერთობლივი კონტროლი, ერთობლივი ერთეული, ერთობლივი საქმიანობა, ერთობლივი მეწილე და მნიშვნელოვანი გავლენა.

7. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის ფინანსური ანგარიშგება, რომლის წარდგენა ხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამატების სახით, ან იმ ინვესტორის ფინანსური ანგარიშგების დამატების სახით, რომელსაც არ გააჩნია ინვესტიციები კონტროლირებულ ერთეულებში, მაგრამ აქვს ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებში ან ერთობლივ საქმიანობებში, რომელშიც, სსბასს 36-ის შესაბამისად, მეკავშირე ერთეულებში ან ერთობლივ საქმიანობებში ფლობილი ინვესტიციების ასახვა მოითხოვება კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, გარდა 9-10 პუნქტებში აღწერილი შემთხვევებისა.
8. იმ ერთეულის ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც არ გააჩნია კონტროლირებული ერთეული, მეკავშირე ერთეული, ან ერთობლივი მეწილის წილი ერთობლივ საქმიანობაში, არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.
9. ერთეულს, რომელიც განთავისუფლებულია კონსოლიდაციისგან სსბასს 35-ის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ან კაპიტალ-მეთოდის გამოყენებისგან სსბასს 36-ის 23-ე პუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს, თავისი ერთადერთი ფინანსური ანგარიშგების სახით წარადგინოს ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგება.
10. საინვესტიციო ერთეული, რომელიც ვალდებულია, როგორც მიმდინარე, ისე ყველა წარდგენილ შესადარის პერიოდშიც, სსბასს 35-ის 56-ე პუნქტის შესაბამისად შეაფასოს თავისი ინვესტიციები ყველა თავის კონტროლირებულ ერთეულში სამართლიანი ღირებულებით ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, ერთადერთი ფინანსური

ანგარიშგების სახით წარადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

### **ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება**

11. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ყველა მოქმედი სსბასს-ის შესაბამისად, გარდა მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12. როდესაც ერთული ამზადებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, კონტროლირებულ ერთეულებში, ერთობლივ საქმიანობებსა და მეკავშირე ერთეულებში ანალოგიური ინვესტიციები უნდა ასახოს:
  - (ა) თვითღირებულებით;
  - (ბ) სსბასს 29-ის შესაბამისად; ან
  - (გ) კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, როგორც ეს აღწერილია სსბასს 36-ში
13. თუ ერთეული აირჩევს, სსბასს 36-ის 24-ე პუნქტის შესაბამისად, მეკავშირე ერთეულებში ან ერთობლივ საქმიანობებში ინვესტიციები შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, სსბასს 29-ის შესაბამისად, მან ეს ინვესტიციები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაშიც ამავე მეთოდით უნდა ასახოს.
14. თუ მაკონტროლებელი ერთეული ვალდებულია, სსბასს 35-ის 56-ე პუნქტის შესაბამისად, კონტროლირებულ ერთეულში თავისი ინვესტიცია შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, სსბასს 29-ის შესაბამისად, მან კონტროლირებულ ერთეულში ფლობილი ინვესტიცია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაშიც ამავე მეთოდით უნდა ასახოს. თუ მაკონტროლებელი ერთეული, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს საინვესტიციო ერთეულს, სსბასს 35-ის 58-ე პუნქტის შესაბამისად, ვალდებულია კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის ინვესტიციები შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით. სსბასს 29-ის შესაბამისად და კონსოლიდაცია გაუკეთოს კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის სხვა აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავლებსა და ხარჯებს. ამასთან, მან კონტროლირებულ საინვესტიციო ერთეულში ინვესტიციები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაშიც ამავე მეთოდით უნდა ასახოს.
15. როდესაც მაკონტროლებელი ერთეული შეწყვეტს საინვესტიციო ერთეულად არსებობას, ან პირიქით, ხდება საინვესტიციო ერთეული,

მან ეს ცვლილება სტატუსის ცვლილების თარიღიდან უნდა ასახოს შემდეგნაირად:

(ა) როდესაც ერთეული წყვეტს არსებობას, როგორც საინვესტიციო ერთეული, ერთეულმა უნდა აღრიცხოს ინვესტიცია კონტროლირებულ ერთეულში, მე -12 პუნქტის შესაბამისად, სტატუსის შეცვლის თარიღი ითვლება პირობითი შექმნის თარიღად. თუ ინვესტიცია მე-12 პუნქტის შესაბამისად აღირიცხება, კონტროლირებული ერთეულის სამართლიანი ღირებულება, პირობითი შექმნის თარიღის მდგომარეობით უნდა წარმოადგენდეს გადაცემულ პირობით კომპენსაციას,

(ბ) როდესაც ერთეული ხდება საინვესტიციო ერთეული, მან კონტროლირებულ ერთეულში ფლობილი ინვესტიცია სსბას 29-ის მიხედვით უნდა აღრიცხოს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით. განსხვავება კონტროლირებული ერთეულის ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და ინვესტორის სტატუსის შეცვლის თარიღისათვის განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებას შორის, აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი, ნამეტში ან დეფიციტში. მოგების ან ზარალის აგრეგირებული თანხა, რომელიც ადრე უშუალოდ იქნა აღიარებული წმინდა აქტივებში/კაპიტალში, ამ კონტროლირებულ ერთეულთან მიმართებით იმგვარად უნდა აისახოს, თითქოს სტატუსის შეცვლის თარიღისათვის მოხდა საინვესტიციო ერთეულის მიერ ამ კონტროლირებული ერთეულების განკარგვა.

16. კონტროლირებადი ერთეულისაგან, ერთობლივი საქმიანობისაგან ან მეკავშირე ერთეულებისაგან დივიდენდები ან მსგავსი განაწილებები აღიარდება ერთეულის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ერთეულს უფლება ექნება მიიღოს დივიდენდი ან მსგავსი განაწილება. დივიდენდი ან მსგავსი განაწილება აღიარდება ნამეტში ან დეფიციტში, თუ ერთეული არ აირჩევს კაპიტალ-მეთოდს, ამ შემთხვევაში, დივიდენდი ან მსგავსი განაწილება აღიარდება როგორც ინვესტიციის საბალანსო ღირებულების შემცირება.

17. როდესაც მაკონტროლებელი ერთეული ახდენს თავისი ეკონომიკური ერთეულის სტრუქტურის რეორგანიზაციას ახალი ერთეულის, როგორც მაკონტროლებელი ერთეულის დაფუძნების გზით, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

(ა) ახალი მაკონტროლებელი ერთეული თავდაპირველ მაკონტროლებელ ერთეულზე კონტროლს მოიპოვებს (i) კაპიტალის ინსტრუმენტების გამოცემით, თავდაპირველი მაკონტროლებელი ერთეულის არსებული კაპიტალის ინსტრუმენტების სანაცვლოდ, ან (ii) სხვა მექანიზმით,



რაც იწვევს ახალ მაკონტროლებელ ერთეულს, რომელსაც აქვს მაკონტროლებელი საკუთრების ინტერესი. თავდაპირველ მაკონტროლებელ ერთეულში;

- (ბ) ახალი ეკონომიკური ერთეულის და თავდაპირველი ეკონომიკური ერთეულის აქტივები და ვალდებულებები ერთი და იგივეა უშუალოდ რეორგანიზაციამდე და მის შემდეგ;
- (გ) თავდაპირველი მშობელი საწარმოს რეორგანიზაციამდელ მესაკუთრეებს, რეორგანიზაციამდეც და რეორგანიზაციის შემდეგაც, ერთი და იგივე აბსოლუტური და ხვედრითი წილი აქვთ თავდაპირველი ეკონომიკური ერთეულისა და ახალი ეკონომიკური ერთეულის წმინდა აქტივებში;

და ახალი მაკონტროლებელი ერთეული თავის ინვესტიციებს თავდაპირველ მაკონტროლებელ ერთეულში 12 (ა) პუნქტის შესაბამისად ასახავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაშინ ახალმა მაკონტროლებელმა ერთეულმა ინვესტიციების თვითღირებულება უნდა შეაფასოს საკუთარი კაპიტალის იმ ელემენტებში თავისი წილის საბალანსო ღირებულებით, რომლებიც ნაჩვენებია თავდაპირველი მაკონტროლებელი ერთეულის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში რეორგანიზაციის თარიღისათვის.

18. ანალოგიურად, ერთეულმა, რომელიც არ არის მაკონტროლებელი ერთეული, შეიძლება შექმნას ახალი ერთეული, როგორც მისი მაკონტროლებელი ერთეული, ისე, რომ დაკმაყოფილებული იყოს მე-17 პუნქტში მოცემული კრიტერიუმები. მე-17 პუნქტში მოცემული მოთხოვნები თანაბრად გამოიყენება ასეთ რეორგანიზაციებზე. ასეთ შემთხვევებში, „თავდაპირველი მაკონტროლებელი ერთეულის“ და „თავდაპირველი ეკონომიკური ერთეულის“ მითითება ეხება „თავდაპირვანდელ ერთეულს“.

### განმარტებითი შენიშვნები

- 19. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი ინფორმაციის მოსაშაადებლად ერთეულმა უნდა გამოიყენოს ყველა შესაფერისი სსბასს, მათ შორის 20–23 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- 20. როდესაც მაკონტროლებელი ერთეული სსბასს 35-ის მე-5 პუნქტის შესაბამისად აირჩევს არ მოაშაადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ამის ნაცვლად აშაადებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, მან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- (ა) ის ფაქტი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება; ერთეულმა გამოიყენა კონსოლიდაციისაგან განთავისუფლების უფლება; იმ ერთეულის დასახელება, ვისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაც მომზადებულია სსბასს-ების შესაბამისად და ხელმისაწვდომია საჯარო სარგებლობისთვის; მისამართი, სადაც შეიძლება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოპოვება;
- (ბ) კონტროლირებულ ერთეულებში, ერთობლივ საქმიანობებსა და მეკავშირე ერთეულებში დაბანდებული მნიშვნელოვანია ინვესტიციების ჩამონათვალი, მათ შორის:
- (i) ამ კონტროლირებული ერთეულების, ერთობლივი საქმიანობების და მეკავშირე ერთეულების დასახელებები;
  - (ii) იურისდიქცია, რომელშიც ეს კონტროლირებული ერთეულები, ერთობლივი საქმიანობები და მეკავშირე ერთეულები საქმიანობენ (თუ ეს განსხვავდება მაკონტროლებელი ერთეულის საქმიანობის ადგილისგან).
  - (iii) ამ ერთეულებში ფლობილი საკუთრების პროცენტული წილი და აღწერა იმისა, თუ როგორ განისაზღვრა საკუთრების აღნიშნული პროცენტული წილი
- (გ) (ბ) პუნქტით გათვალისწინებული კონტროლირებული ერთეულების, ერთობლივი საქმიანობების და მეკავშირე ერთეულების აღრიცხვისათვის გამოყენებული მეთოდის აღწერა.
21. როდესაც საინვესტიციო ერთეული, რომელიც მაკონტროლებელი ერთეულია (მე-20 პუნქტში გათვალისწინებული მაკონტროლებელი ერთეულის გარდა), ამზადებს, მე -10 პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, როგორც მის ერთადერთ ფინანსურ ანგარიშგებას, მან უნდა გაამყდავნოს ეს ფაქტი. საინვესტიციო ერთეულმა აგრეთვე უნდა წარადგინოს განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც ეხება სსბასს 38-ით - *სხვა ერთეულებში წილების გამყდარება* - განსაზღვრულ საინვესტიციო ერთეულებს.
22. თუ მაკონტროლებელ ერთეულს, რომელიც თავად არ არის საინვესტიციო ერთეული, მოეთხოვება სსბასს 35-ის 56-ე პუნქტის შესაბამისად, შეაფასოს კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის ინვესტიცია სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, სსბასს 29 -ის შესაბამისად და კონსოლიდაცია გაუკეთოს კონტროლირებული

საინვესტიციო ერთეულის სხვა აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავლებსა და ხარჯებს, მან უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი. ერთეულმა აგრეთვე უნდა წარადგინოს განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც ეხება სსბასს 38-ით - *სხვა ერთეულებში წილების გამჟღავნება* - განსაზღვრულ საინვესტიციო ერთეულებს.

23. როდესაც მაკონტროლებელი ერთეულის (20-21-ე პუნქტებით გათვალისწინებული მაკონტროლებელი ერთეულის გარდა) ან ინვესტორის, ერთობლივი კონტროლით ან მნიშვნელოვანი გავლენით, ინვესტირებული ერთეული ამზადებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, მაკონტროლებელმა ერთეულმა ან ინვესტორმა უნდა განსაზღვროს ფინანსური ანგარიშგების მომზადება სსბასს 35-ის, სსბასს 36-ის ან სსბასს 37-ის შესაბამისად, რომლებსაც ისინი ეხება. მაკონტროლებელმა ერთეულმა ან ინვესტორმა აგრეთვე უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ინფორმაცია თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში:
- (ა) ის ფაქტი, რომ ანგარიშგებები წარმოადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს და მიზნები, რის გამოც მზადდება აღნიშნული ანგარიშგებები, თუ ეს არ არის მოთხოვნილი კანონმდებლობით ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ.
  - (ბ) მნიშვნელოვანი კონტროლირებული ერთეულების, ერთობლივი საქმიანობების და მეკავშირე ერთეულების ჩამონათვალი, მათ შორის:
    - (i) ამ კონტროლირებული ერთეულების, ერთობლივი საქმიანობების და მეკავშირე ერთეულების დასახელებები.
    - (ii) იურისდიქცია, რომელშიც ეს კონტროლირებული ერთეულები ერთობლივი საქმიანობები და მეკავშირე ერთეულები მოქმედებენ (თუ ეს განსხვავდება მაკონტროლებელი ერთეულისაგან).
    - (iii) ამ ერთეულებში ფლობილი საკუთრების პროცენტული წილი და აღწერა იმისა, თუ როგორ განისაზღვრა საკუთრების აღნიშნული პროცენტული წილი.
  - (გ) (ბ) პუნქტით გათვალისწინებული კონტროლირებული ერთეულების, ერთობლივი საქმიანობების და მეკავშირე ერთეულების აღრიცხვისათვის გამოყენებული მეთოდის აღწერა.

## გარდამავალი დებულებები

24. თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის, საინვესტიციო ერთეულმა, რომელიც ადრე კონტროლირებულ ერთეულში ფლობილ ინვესტიციას აფასებდა თვითღირებულებით, ეს ინვესტიცია უნდა შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, ისე, თითქოს ყოველთვის წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები იყო ძალაში. საინვესტიციო საწარმომ რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ უსწრებს წინ თავდაპირველი გამოყენების თარიღს და ასევე უნდა გააკორექტიროს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით არსებული აკუმულირებული ნამეტის/დეფიციტის მონაცემი, შემდეგ ორ სიდიდეს შორის სხვაობის თანხით:
- (ა) ინვესტიციის წინა საბალანსო ღირებულება; და
  - (ბ) ინვესტორის ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება კონტროლირებულ ერთეულში.
25. თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, საინვესტიციო ერთეულმა, რომელიც ადრე კონტროლირებულ ერთეულში ფლობილ ინვესტიციას აფასებდა სამართლიანი ღირებულებით, პირდაპირ წმინდა აქტივებში/კაპიტალში ასახვით, ამ ინვესტიციის შეფასება უნდა გააგრძელოს სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულებების კორექტირების მთლიანი თანხა, რომელიც ადრე აღიარებული იყო წმინდა აქტივებში/კაპიტალში, ერთეულმა უნდა გადაიტანოს იმ წლიური პერიოდის აკუმულირებული ნამეტის/დეფიციტის საწყის ნაშთში, რომელიც უშუალოდ უსწრებს წინ თავდაპირველი გამოყენების თარიღს.
26. თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, საინვესტიციო ერთეული ვალდებული არ არის, შეცვალოს კონტროლირებულ ერთეულში ფლობილი ადრინდელი წილის სააღრიცხვო მეთოდი, რომელსაც წინათ აღრიცხავდა სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით სსბასს 29-ის შესაბამისად, როგორც ეს მე-12 პუნქტითაა ნებადართული.
27. საინვესტიციო ერთეულმა უნდა გამოიყენოს სამართლიანი ღირებულების ის მნიშვნელობები, რომლებიც ადრე წარედგინათ ინვესტორებს, ან ხელმძღვანელობას.
28. თუ შეუძლებელია (სსბასს 3-ში - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ - მოცემული განმარტების თანახმად) კონტროლირებულ ერთეულში განხორციელებული ინვესტიციის შეფასება 24-27-ე პუნქტების შესაბამისად, საინვესტიციო ერთეულმა წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისისთვის, რომლის მიმართაც შესაძლებელია 24-27-ე

პუნქტების გამოყენება, რაც შეიძლება მიმდინარე პერიოდი იყოს. ინვესტორმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ უსწრებს წინ ზემოაღნიშნულ თავდაპირველი გამოყენების თარიღს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მიმდინარე პერიოდია ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება. როდესაც თარიღი, რომლისთვისაც შესაძლებელია, რომ საინვესტიციო ერთეულმა შეაფასოს კონტროლირებული ერთეულის სამართლიანი ღირებულება, წინ უსწრებს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისს, ინვესტორმა უნდა გააკორექტიროს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული წმინდა აქტივების/კაპიტალის მონაცემი, შემდეგ ორ სიდიდეს შორის სხვაობის თანხით:

- (ა) ამ ინვესტიციის ადრინდელი საბალანსო ღირებულება; და
- (ბ) ინვესტორის მიერ კონტროლირებულ ერთეულში ფლობილი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება.

თუ მიმდინარე პერიოდია ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წმინდა აქტივების/კაპიტალის კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის დასაწყისში.

- 29. თუ საინვესტიციო ერთეული კონტროლირებულ ერთეულში ფლობილ ინვესტიციას ასხვისებს, ან კონტროლს კარგავს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე, საინვესტიციო ერთეული ვალდებული არ არის, შეცვალოს ამ ინვესტიციის სააღრიცხვო მეთოდი, რომელსაც წინათ იყენებდა.
- 30. თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის, მაკონტროლებელი ერთეული, რომელიც არ წარმოადგენს საინვესტიციო ერთეულს, მაგრამ რომელსაც სსბასს 35-ის 56-ე პუნქტის შესაბამისად მოეთხოვება შეაფასოს კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის ინვესტიცია სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, სსბასს 29-ის შესაბამისად და კონსოლიდაცია გაუკეთოს კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულის სხვა აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავლებსა და ხარჯებს, მან უნდა გამოიყენოს 24-29 პუნქტებში მოცემული გარდამავალი დებულებები, კონტროლირებულ საინვესტიციო ერთეულში ფლობილი ინვესტიციის თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვისათვის.
- 31. გარდამავალი დებულებები ერთობლივი ოპერაციაში მის წილთან დაკავშირებით ერთეულის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ბუღალტრული აღრიცხვის ცვლილებისას, მოცემულია სსბასს 37-ში, ერთობლივი შეთანხმებები.

## ძალაში შესვლის თარიღი

32. ერთეულმა წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს, რომლებიც იწყება 2017 წლის 1 იანვრის ან მას შემდეგ. რეკომენდებულია ვადამდელი გამოყენება. თუ ერთეული იყენებს წინამდებარე სტანდარტს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამყდავნოს ეს ფაქტი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში და ამავედროულად გამოიყენოს სსბასს 35, სსბასს 36, სსბასს 37 და სსბასს 38.
- 32ა. მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულია 2016 წლის აპრილში გამოცემული დოკუმენტის - *სსბასს-ების გამოყენება* - გამო. ერთეული ვალდებულია გამოიყენოს ეს ცვლილებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც მოიცავს პერიოდებს, რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამყდავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
33. როდესაც ერთეული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის დანერგავს დარიცხვის მეთოდის შესაბამის სსბასს-ებს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 33-ში, *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) თავდაპირველი დანერგვა*, ძალაში შესვლის თარიღიდან გამომდინარე, ეს სტანდარტი ვრცელდება ერთეულების წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე, რომელიც მოიცავს პერიოდებს დაწყებულს სსბასს-ების დანერგვის თარიღიდან ან მის შემდეგ.

## სსბასს 6-ის (დეკემბერი 2006) გაუქმება ან ჩანაცვლება

34. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენოს სსბასს 35-თან ერთად, პარალელურად. ერთად ორი სტანდარტი აუქმებს სსბასს 6-ს, *კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას* (2006 წლის დეკემბერი). სსბასს 6 მოქმედებს მანამ, სანამ სსბასს 34 და სსბასს 35 არ იქნება გამოყენებული ან არ შევა ძალაში - რომელიც უფრო ადრე მოხდება.

## დასკვნის საფუძველი

*წინამდებარე დასკვნის საფუძველი თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 34-ის შემადგენელი ნაწილი.*

### მიზანი

დს1. დასკვნის საფუძველი აჯამებს სსბასსს– ს მოსაზრებებს სსბასს 34 – ში დასკვნების მისაღწევად. რადგან ეს სტანდარტი ემყარება ბასს 27-ს, *ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას* (შესწორებულია 2011 წელს, მათ შორის, ცვლილებებია შეტანილი 2014 წლის 31 დეკემბრამდე), რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ. (ბასსს), დასკვნების საფუძველები ასახავს მხოლოდ იმ სფეროებს, სადაც სსბასს 34 არ შეესაბამება ბასს 27-ის ძირითად მოთხოვნებს (შესწორებულია 2011 წელს), ან სადაც სსბასსს განიხილავდა ასეთ გადახვევებს.

### მიმოხილვა

დს2. 2012 წელს სსბასსს-მა დაიწყო მუშაობა იმ სსბასს-ების განახლების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებდნენ წილების აღრიცხვას კონტროლირებულ ერთეულებში, მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში. 2013 წლის ოქტომბერში სსბასსს-მ გამოსცა განსახილველი პროექტები (გპ-ები) 48–დან 52–მდე, რომელსაც ერთობლივად *სხვა ერთეულებში წილებად* მოიხსენიებდნენ. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გპ 48, დაფუძნებულია ბასს 27-ზე, *ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება* (შესწორებულია 2011 წელს), იმის გათვალისწინებით, რომ სსბასს 6-ში, *კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგება* გათვალისწინებულია საჯარო სექტორთან დაკავშირებული შესაბამისი ცვლილებები. 2015 წლის იანვარში სსბასსს-მ გამოსცა ხუთი ახალი სსბასს, მათ შორის სსბასს 34. ამ ახალ სსბასს-ებმა გააუქმა სსბასს 6, სსბასს 7, *ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებში* და სსბასს 8, *ერთობლივ საქმიანობებში წილები*.

## ინდივიდუალურ ანგარიშგებაში კაპიტალ-მეთოდის გამოყენება

დს3. სსბასს 6-მა ერთეულს უფლება მისცა თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, შეეფასებინა ინვესტიციები კონტროლირებულ ერთეულებში, ერთობლივად კონტროლირებულ ერთეულებსა და მეკავშირე ერთეულებში:

- (ა) კაპიტალის მეთოდის გამოყენებით
- (ბ) თვითღირებულებით; ან
- (გ) როგორც ფინანსური ინსტრუმენტი, სსბასს 29-ის შესაბამისად.

დს4. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ 2003 წელს ბასსს-მ შეზღუდა ერთეულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი ინვესტიციების შეფასების მეთოდები, კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შესაძლებლობის ამოღებით. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ბასსს-ის მიერ მითითებული მიზეზები ამ ცვლილების შესასრულებლად მოიცავდა შემდეგს

- (ა) ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ყურადღება გამახვილებულია აქტივების, როგორც ინვესტიციების, განხორციელებაზე. ამისათვის თვითღირებულებას და სამართლიან ღირებულებას შეუძლია შესაბამისი ინფორმაციის უზრუნველყოფა; და
- (ბ) რამდენადაც კაპიტალ-მეთოდი უზრუნველყოფს ინფორმაციას კონტროლირებული ერთეულის ან მეკავშირე ერთეულის მოგებისა და ზარალის შესახებ, ეს ინფორმაცია შესაძლებელია ხელმისაწვდომი იქნეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დს5. სსბასსს-მ ასევე აღნიშნა, რომ როდესაც მან გამოსცა გკ 48, ბასსს-მ მიანიშნა თავისი განზრახვა, განეხილა კაპიტალ-მეთოდის გამოყენება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ საკითხის გადახედვის გადასაწყვეტად, ბასსს-მ აღიარა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში კორპორატიული სამართალი მოითხოვს, რომ აღრიცხვის კაპიტალ-მეთოდი იქნეს გამოყენებული ცალკეული ინვესტიციების შესაფასებლად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების წარდგენისას.



დსნ. სსბასს- მა გადაწყვიტა განაგრძოს კაპიტალ-მეთოდის გამოყენება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში შემდეგი მიზეზების გამო:

(ა) კაპიტალ-მეთოდი არის საჯარო სექტორში ცალკეული ინვესტიციების აღრიცხვის კარგად ჩამოყალიბებული მეთოდი. ბევრ შემთხვევაში, როდესაც ინვესტიციები ხორციელდება საჯარო სექტორის ერთეულების მიერ, კაპიტალ-მეთოდს შეუძლია მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც საიმედო<sup>1</sup> და გამოსადეგია და, შესაძლოა, უფრო დაბალ ფასად, ვიდრე თვითღირებულების ან სამართლიანი ღირებულების მეთოდმა. საჯარო სექტორში, საინვესტიციო ერთეულები ხშირად გამოიყენება უფრო „ინსტრუმენტებად“, მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად, ვიდრე საინვესტიციო მიზნებისათვის, როგორც ეს ზოგადად შეიძლება იყოს კერძო სექტორში. ამრიგად, კაპიტალ-მეთოდი შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში, უკეთესად შეესაბამებოდეს საჯარო სექტორში მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილებას, რადგან ეს საშუალებას აძლევს ფინანსურ ანგარიშგებას ასახოს წლების განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციებით გამოწვეული კაპიტალში ცვლილებები და წარმადობა, ხარჯ-ეფექტიანობით და ადვილად გასაგები მეთოდით.

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ თვითღირებულების მეთოდის გამოყენება ხშირად შედარებით მარტივია, სადაც ინვესტიციები ფლობილია გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თვითღირებულების მეთოდის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მოძველებული და ნაკლებად შესაბამისი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში, იგი ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლის საჭიროებებს.

---

<sup>1</sup> საიმედო ინფორმაცია თავისუფალია არსებითი შეცდომისა და მიკერძოებისაგან და შესაძლოა მას ენდოს მომხმარებლები, იმ მოსაზრებით, რომ იგი კეთილსინდისიერად ასახავს იმას, რაც უნდა იყოს წარდგენილი, ან რის წარდგენაც გონივრულ ფარგლებშია მოსალოდნელი. სსბასს 1-ის პუნქტი დს16 მსჯელობს საიმედობის ახსნის გარდამავალ მიდგომაზე

(გ) საჯარო სექტორში, სავარაუდოდ, იმ ინვესტიციების წილი უფრო მაღალია, რომლისთვისაც არ არსებობს აქტიური ბაზრები და რომლის სამართლიანი ღირებულების დადგენა ადვილად შესაძლებელი არაა. მიუხედავად იმისა, რომ სსბასს 29-ში მოცემული მითითება შეიძლება გამოყენებულ იქნას ამგვარი ინვესტიციების ღირებულების დასადგენად, სსბასსს თვლიდა, რომ ეს მიდგომა ზოგადად მიგვიყვანდა ინფორმაციამდე, რომელიც ზუსტად არ ასახავდა აღნიშნულ გარემოებებს.

დს7. გპ 48-ის გამოკითხულთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წინადადებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალ-მეთოდის გამოყენების დაშვებასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა შემდგომი ჯგუფი ასევე მხარს უჭერდა ამ წინადადებას, გამომდინარე იქიდან, რომ ბასსს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას აღადგენდა. 2014 წლის აგვისტოში, ბასსს-მ გამოაქვეყნა *კაპიტალ-მეთოდი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში* (ცვლილებები ბასს 27-ში), რომელმაც აღადგინა კაპიტალ-მეთოდი, როგორც არჩევანის საშუალება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ მან მიიღო ამ წინადადებისთვის და ბასს 27-ში კაპიტალ-მეთოდის აღსადგენად მხარდაჭერა და შეთანხმდა, რომ გაგრძელდება კაპიტალ-მეთოდის გამოყენება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**საინვესტიციო ერთეულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება**

დს8. სსბასს 35-ის შემუშავებისას, სსბასსს-მ გადაწყვიტა საინვესტიციო ერთეულების კონცეფციის შემოღება და მოეთხოვა, რომ მაკონტროლებელ ერთეულს, რომელიც წარმოადგენს საინვესტიციო ერთეულს, თავისი ინვესტიციები უმეტეს კონტროლირებულ ერთეულებში შეეფასებინა სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, სსბასს 29-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სსბასსს-მ გადაწყვიტა მოითხოვოს, რომ საინვესტიციო ერთეულმა შეაფასოს თავისი ინვესტიციები კონტროლირებულ ერთეულებში სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სსბასსს-მ ასევე გადაწყვიტა, რომ საინვესტიციო ერთეულმა, რომელიც ამზადებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, როგორც მის ერთადერთ ფინანსურ ანგარიშგებას, ასევე უნდა გააკეთოს სსბასს 38-ით მოთხოვნილი

**განმარტებები კონტროლირებულ ერთეულებში მისი წილების შესახებ.**

დს9. სსბასსს-მ ასევე გადაწყვიტა, რომ საინვესტიციო ერთეულის მაკონტროლებელ ერთეულს, რომელიც თავად არ წარმოადგენს საინვესტიციო ერთეულს, მოსთხოვოს წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც ის (i) კონტროლირებულ საინვესტიციო ერთეულში თავის ინვესტიციებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით, სსბასს 29-ის შესაბამისად და (ii) აერთიანებს კონტროლირებული საინვესტიციო ერთეულების სხვა აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავლებსა და ხარჯებს. შესაბამისად, სსბასსს-მ გადაწყვიტა, რომ არასაინვესტიციო მაკონტროლებელმა ერთეულმა კონტროლირებულ საინვესტიციო ერთეულში თავისი ინვესტიცია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში შეაფასოს იგივენაირად.

**სსბასს 34-ის გადახედვა, სსბასსს-ს მიერ 2016 წლის აპრილში გამოცემული სსბასს-ების გამოყენების შედეგად**

დს10. სსბასსს-მ 2016 წლის აპრილში გამოსცა *სსბასს-ების გამოყენება*. ამ დოკუმენტით, ყველა სსბასსს-ში იქნა ცვლილებები შეტანილი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- (ა) თითოეული სტანდარტის მოქმედების სფეროდან ამოღებულია სტანდარტული პუნქტები სსბასსს-ების

„საჯარო სექტორის ერთეულებისთვის, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა (სკს)“ გამოყენების შესახებ;

- (ბ) ტერმინი „სკს“ შეცვლილია ტერმინით „საჯარო სექტორის კომერციული ერთეული“, საჭიროების შემთხვევაში; და
- (გ) ცვლილებები იქნა შეტანილი *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობის* მე-10 პუნქტში, იმ საჯარო სექტორის ერთეულების პოზიტიური აღწერით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი სსბასს-ები.

ამ ცვლილებების მიზეზები განხილულია სსბასს 1-ის დასკვნის საფუძველში.

## ბასს 27-თან შედარება

სსბასს 34, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შედგენილია, ძირითადად, ბასს 27-ის, *ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების* საფუძველზე (შესწორებულია 2011 წელს, 2014 წლის 31 დეკემბრამდე ცვლილებების ჩათვლით). ამ სტანდარტის გამოცემის დროს სსბასსს-მ არ გაითვალისწინა საჯარო სექტორის ერთეულების მიერ ფასს 9-ის, *ფინანსური ინსტრუმენტების* გამოყენების შესაძლებლობა. შესაბამისად, ფასს 9-ის მითითება ბასსს-ს მიერ გამოცემულ სტანდარტში ჩანაცვლდა მითითებით ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სსბასს-ებზე.

ძირითადი განსხვავებები სსბასს 34-სა და ბასს 27-ს შორის (შესწორებულია 2011 წელს) მდგომარეობს შემდეგში:

- სსბასსს 34 იყენებს განსხვავებულ ტერმინოლოგიას, განსაზღვრულ შემთხვევებში, ბასს 27-დან (შესწორებულია 2011 წელს). ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითებია შემდეგი ტერმინების გამოყენება: "წმინდა აქტივები/კაპიტალი", "ეკონომიკური ერთეული", "მაკონტროლებელი ერთეული", "კონტროლირებული ერთეული", "შემოსავალი" ბასს 27-ის (2011 წელს შესწორებული) ეკვივალენტური ტერმინებია „კაპიტალი“, „ჯგუფი“, „მშობელი“, „შვილობილი“ და „ამონაგები.“.
- სსბასსს 34 შეიცავს სპეციფიკურ მოთხოვნებს მაკონტროლებელ ერთეულზე, რომელიც თავად არ წარმოადგენს საინვესტიო ერთეულს, მაგრამ რომელსაც აქვს ინვესტიცია კონტროლირებულ საინვესტიციო ერთეულში. ბასს 27 (შესწორებულია 2011 წელს) არ განსაზღვრავს ამგვარ მაკონტროლებელ ერთეულთა მიმართ განსხვავებულ მოთხოვნებს, რადგან მოითხოვს ასეთი ინვესტიციების კონსოლიდაციას.